თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3220885

ნომერი: AR1495501

თარიღი : 12.04.2017

გაცემის თარიღი : 24.04.2017

გაცნობის თარიღი : 24.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N 4ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა თამარაშვილი , N10ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელენე ჩხეიძე პ/ნ 01011038852
- თბილისი, ზ. საკანდელიძის 19

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1495501 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ.თბილისში, #01.14.03.042.208 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 15 მაისს #AR1404468 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი ლომიძემ და მოითხოვა ქ.თბილისში თამარაშვილის ქუჩა #4ა/ თამარაშვილის ქუჩა #10ა, (ს/კ#01.14.03.042.208) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, რომლის საფუძველზეც სამსახურის 2017 წლის 18 აპრილის # 3211037 ბრძანებით დაკმაყოფილდა მოქალაქე ირაკლი ლომიძის განცხადება და დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

სამსახურის მიერ #3211037 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, # 01.14.03.042.208 საკადასტრო ერთეულზე, სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge